სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №101/2018

ქ.თბილისი „ 06 “ მ ა რ ტ ი 2018 წელი

ერთის მხრივ სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, გიორგი იაკობაშვილის სახით და მეორეს მხრივ, **შპს „მაგთიკომი“** (შემდგომში მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოადგილის გია კოშორიძის სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 3[1] პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე” სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და „ნუმერაციის რესურსის გაცემის, გამოყენებისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 21 თებერვლის №2 დადგენილების საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს გააჩნიათ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომ - “ხელშეკრულება”) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. “ხელშეკრულების ღირებულება” - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3. “დღე”, “კვირა”, “თვე” - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. “მომსახურება”– ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.5. **ოპერატორის საკომუნიკაციო ქსელი** – ოპერატორის ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებას.

1.6. **სერვისის ნომერი** – საქართველოს მთავრობის 2010 წლის 18 ნოებრის N355 დადგენილებით (საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ნუმერაციის ეროვნული სისტემის დებულება) გათვალისწინებული და ოპერატორის/მომწოდებლის მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ნუმერაციის რესურსი, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გამოყოფა მომხმარებელს.

1.7. ტერმნინები, რომლებიც არ არის განმარტებული წინამდებარე ხელშეკრულებით განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულებნის საგანია სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ საზოგადოებრივი სატელეფონო კავშირის მომსახურებების (CPV: 64211000) შესყიდვა;

2.2. შესყიდვის ობიექტია სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს სარგებლობაში მყოფ 3 სატელეფონო (Toll-free Number) ნომერზე - 16600; 16006 და 16001 - ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების განახლება;

3.ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **4,500 (ოთხი ათას ხუთასი)** ლარს. თითო ნომერზე 1500 (ათას ხუთასი) ლარი;

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს;

3.3. ხელშეკრულების დაფინანსების წყაროა სახელმწიფო პროგრამის - აზიური ფაროსანას წინააღდეგ გასატარებელი ღონისძიებები - ფარგლებში, 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოსათვის გამოყოფილი სახსრები;

4. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

4.1 **„შემსყიდველი“ ვალდებულია:**

4.1.1 გადაიხადოს წინამდებრა ხელშეკრულებით გათვალსწინებული თანხა

4.1.2 გამოიყენოს სერვისი ნომერ(ებ)ი მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

4.1.3 წინასწარ, ერთი თვით ადრე შეატყობინოს ოპერატორს/“მოწოდებელს“, მომსახურების შეწყვეტის სურვილის შემთხვევაში.

4.1.4 დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს ოპერატორს/“მომწოდებელს“ ინფორმაცია წარმომადგენლობითი უფლებამოსილების, რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ.

4.1.5 განახორციელოს ანგარიშსწორება ოპერატორთად დროულად, მე–5 მუხლის დებულებათა შესაბამისად.

4.2 **„შემსყიდველი“ უფლებამოსილია:**

4.2.1 მოსთხოვოს ოპერატორს/“მომწოდებელს“ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება.

4.2.2 მიმართოს ოპერატორს/“მომწოდებელს“ პრეტენზიით (ზეპირი ან წერილობითი ფორმით) მომსახურების არაჯეროვან მიღებასთან ან არსებულ ხარვეზებთან დაკავშირებით.

4.3 **„მიმწოდებელი“ ვალდებულია:**

4.3.1 უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდება, ხელშეკრულების გაფორმებიდან **3 სამუშაო დღის** ვადაში;

4.4 **„მომწოდებელი“ უფლებამოსილია:**

4.4.1 მოსთხოვს „შემსყიდველს“ თანხის ანაზრაურება გაწეული მომსახურებისათვის ხელშეკრულებით გათვალისინებული პირობების შესაბამისად;

4.5 მხარეები კირსრულობენ ვალდებულებას დაუყოვნებლივ შეატყობინონ ერთმანეთს ინფორმაცია მათი იურიდიული და ფაქტობრივი მისამართის, საფირმო სახელწოდების, ორგანიზაციულ–სამართლებრივი ფორმის, საბანკო რეკვიზიტების მონაცემების ცვლილების შესახებ.

5. ანგარიშსწორება და მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. ფაქტიურად გაწეულ მომსახურებაზე, მხარეებს შორის გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი შესაბამისი ღირებულების ასახვით;

5.2. შემსყიდველის მხრიდან, მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს აწერენ, ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის წევრები;

5.3. ანგარიშწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში;

5.4. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო, ეროვნულ ვალუტაში, თანხა ჩაირიცხება ხელშეკრულებაში მითითებულ, მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე;

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, არაჯეროვნად შესრულებული ვალდებულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით, ყოველ ასეთ შემთხვევაზე;

6.2. ხელშეკრულების 4.3.1. ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო დაგვიანებით შესრულებული ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

6.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის მიზეზით ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთლიანი ღირებულების 10%-ის ოდენობით;

6.4. იმ შემთხვევაში, თუ 6.1. და 6.2. პუნქტებით დაკისრებული პირგასამტეხლოების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულები 1 (ერთ) პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს გავიდეს ხელშეკრულებიდან და მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულებიდან გასვლის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

6.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან.

7. ფორს–მაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის ფორს–მაჟორული გარემოებების (დაუძლეველი ძალის) მოქმედების შემთხვევაში, რომლის დადგომა შეუძლებელს ხდის ან აფერხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას.

7.2. დაუძლეველი ძალის ქვეშ იგულისმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობენ ხელშეკრულების დადების დროს და რომელთა დადგომა თუ ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ წინასწარ ევრადაუდათ, თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ და არ ექვემდებარება მხარეთა გოვინვრულ კონტროლს თუ ნებას.

7.3. დაუძლეველი ძალის გარემოებები გულისხმობს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი სახის მოვლენებით: სტიქიური უბედურებები, მათ შორის, წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი, მეწყერი, გაფიცვა, მასობრივი არეულობა, საბოტაჟი, ტერორისტული და დივერსიული აქტები, ოფიციალურად გამოცხადებული ან გამოუცხადებელი საომარი მოქმედებები და შეიარაღებული კონფლიქტები, სამოქალაქო ომი, არეულობები, საგანგებო და საომარი მდგომარეობები, ბლოკადა, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მოქმედებები, სანქციები ან აქტები. ოპერატორის მიმწოდებლების, კონტრაქტორების ან ქვეკონტრაქტორების მიზეზით გამოწვეული შემთხვევები, მათ შორის მიმწოდებლების, კონტრაქტორებისა და ქვეკონტრაქტორების მიერ ოპერატორის წინაშე ვალდებულებების შეუსრულებლობა, უჩვეულო ან არაპროგნოზირებადი გადატვირთვები და შეფერხებები ცალკეულ საბაზო სადგურზე, ელექტრონულ საკომუნიკაციო ქსელში, ოპერატორის საკომუტაციო სადგურზე, მაგისტრალურ საკომუნიკაციო არხებში, ასევე მომსახურების შეფერხება და შეწყვეტა, რომელიც გამოწვეულია იმ სამუშაოების ჩატარებით, რომელიც ემსახურება მომსახურების ხარისხის შენარჩუნებას ან მის გაუმჯობესებას ან ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, მომსახურების შეფერხება და შეწყვეტა, რომელიც გამოწვეულია მესამე პირთა (ოპერატორების) ქსელებში ან შეერთების კვანძებში შეფერხებებით ან რესურსების ან ქსელის (მათ შორის ინტერნეტის ქსელის) შეფერხებები ან ხელმიუწვდომლობა, რომელთა ადმინისტრირება ან კონტროლი ცდება ოპერატორის შესაძლებლობების ფარგლებს.

7.4. თუ ზემოხსენებულმა გარემოებებმა უშუალოდ იმოქმედეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადებზე, მაშინ ეს ვადები ამ გარემოებების მოქმედების დროს თანაბარზომიერად გადაიწევს.

7.5. მხარემ, რომლისთვისაც დაუძლეველი ძალის დადგომის გამო შეუძლებელი გახდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს ამ გარემოების დადგომიდან 5(ხუთი) დღისა, შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობითი სახით ამგვარი გარემოებების დადგომა, შეტყობინება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ამგვარი გარემოებების დადგომის, ხასიათის, დროის და შესაძლო შედეგების შესახებ, შეუტყობინებლობის ან დაგვიანებით შეტყობინების შემთხვევაში მხარე კარგავს უფლებას დაეყრდნოს დაუძლეველი ძალის გარემოებების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს.

7.6. იმ შემთხვევაში, თუ დაუძლეველი ძალის გარემოებები გრძელდება 1(ერთი) თვეზე მეტი ხანგრძლივობით, ორივე მხარეს უფლება აქვს მეორე მხარისათვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებით, ცალმხრივად შეტყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები

8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და ძალაშია **2019 წლის 31 მარტის ჩათვლით.**

8.2. წინამდებარე ხელშეკრულება შესაძლებელია ვადაზე ადრე შეწყდეს ცალმხრივად, ერთ–ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარისათვის შეწყვეტამდე მინიმუმ 1(ერთი) თვით ადრე წერილობითი შეტყობინებით.

8.3. წინამდებარე ხელშეკრულება გარდა სხვა დებულებებით გათვალისწინებული შეწყვეტის საფუძვლებისა, ასევე შესაძლებელია ვადაზე ადრე შეწყდეს შემდეგ შემთხვევებში:

8.3.1 მხარეთა შეთანხმებით;

8.3.2 მიმწოდებლის ინიციატივით, ცალმხრივად, თუ მომხმარებელი სისტემატიურად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულების მე–5 მუხლით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადლებულებას;

8.4. წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეს, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოშობილი დავალიანების დაფარვის ან რაიმე სხვა სახის ფინანსური ვალდებულების შესრულებისაგან.

9. დავების განხილვის წესი

9.1. მხარეთა შორის ნებისმიერი უთანხმოების ან სადავო საკითხის წარმოშობის შემთხვევაში მხარეების მიერ საკითხის გადაწყვეტა პირველ ეტაპზე ხორციელდება მოლაპარაკების გზით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეთა შორის არსებული დავა განსახილველად გადაეცემა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს.

10. დასკვნითი დებულებები

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება სრულად გამოხატავს მხარეთა ნებას და მისი დებულებები სავალდებულოა შესასრულებლად როგორც მხარეებისათვის, ასევე მათი უფლებამოცვლეებისთვისაც. მხარეები აცხადებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით და მისი ყველა პუნქტი წარმოადგენს მხარეთა ნების გამოვლინებას, რომელიდანაც გამომდინარე ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს ხელშეკრულებით პასუხისმგებლობას.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს მხარეთა საბოლოო შეთანხმებას ხელშეკრულების საგანთან და აუქმებს ამავე საგანზე არსებულ ზეპირ თუ წერილობით შეთანხმებას, განცხადებას და დაპირებას. ორივე მხარე აცხადებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერით რომელიმე მხარე არ უყრდნობა რაიმე სხვა განცხადებას, პირობას, გარანტიას ან შეთანხმებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ხელშეკრულების ხელმოწერამდე, გარდა იმისა, რომელიც რეალურად შეადგენს წინამდებარე ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს.

10.3 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებები და უფლებები მესამე პირს.

10.4 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე უფლების განუხორციელებლობა ან დაყოვნება არ ნიშნავს ამ უფლებაზე უარის თქმას და არ ართმევს უფლებას მომავალში გამოიყენოს ესა თუ ის უფლება.

10.5 წინამდებარე ხელშეკერულების მუხლების სათაურები მოცემულია ხელშეკრულების შინაარსის აღქმის მოხერხებულობისათვის და გავლენას არ მოახდენს ხელშეკრულების დებულებების განმარტებაზე/ინტერპრეტირებაზე.

10.6 თითოეული მხარე ვალდებულია შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობები კეთილი ნებისა და კეთილსინდისიერების პრინციპების შესაბამისად.

10.7 მხარეები თანხმდებიან, რომ მიიღებენ ყველა ზომას, რათა შეიტანონ ცვლილებები წინამდებარე ხელშეკრულებაში, რომელიც შეიძლება გამოწვეულ იქნეს კანონმდებლობის ცვლილებით და ახალი მოთხოვნებით.

10.8 იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება გაუქმდება, გამოცხადდება ძალადაკარგულად ან მიიჩნევა ბათილად ეს შეეხება მხოლოდ ამ დებულებას და გავლენას არ იქონიებს ხელშკრულების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

10.9 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე **სამი თანაბარი** იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგანაც თითო ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს.

შემსყიდველი:
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. N6
საიდ.კოდი: 205142200
სახელმწიფო ხაზინა
კოდი: 220101222
ა/ა 200122900

სააგენტოს უფროსის მ/შ

გიორგი იაკობაშვილი _____

მიმწოდებელი:
შპს „მაგთიკომი"
ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ №7
საიდ.კოდი: 204876606
ვითიბი ბანკი ჯორჯიას ცენტრალური ფილიალი:
ბანკის კოდი № UGEBGE22
ა/ა GE73VT6600000000423607

გენერალური დირექტორის მოადგილე

გია კოშორიძე _____

მოამზადა: სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო:

შეთანხმებულია: საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი:

იურიდიული დეპარტამენტი:

ადმინისტრაციული დეპარტამენტი:

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ხელის მოწერით ვადასტურებთ, რომ **შპს „მაგთიკომი"**-ს მიმართ სრულად ვაკმაყოფილებთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს
უფროსის მ/შ ----------

იურიდიული დეპარტამენტი ----------

საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი ----------

ადმინისტრაციული დეპარტამენტი ----------

სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო ----------

ხელშეკრულების პირობების შესრულებზე კონტროლის განმახორციელებელი პირები:

1. ირაკლი რუხაძე ----------
2. ლევან ებანოიძე ----------
3. ირაკლი ჩიხლაძე ----------